

სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი“-ს ანგარიში 2014 წლის განმავლობაში განხორციელებული ღონისძიებების და პროგრამების შესახებ

2014 წელს აკრედიტაციის ეროვნული ორგანოს მიერ აკრედიტაციის სისტემის მოთხოვნათა შესაბამისად, აკრედიტებულ იქნა 61 შესაბამისობის შემფასებელი პირი. მათ შორის:

- 41 სხვადასხვა ტიპის საგამოცდო ლაბორატორია;
- 2 სამედიცინო ლაბორატორია;
- 1 საკალიბრებელი ლაბორატორია;
- 1 პერსონალის სერტიფიკაციის ორგანო;
- 16 ინსპექტირების ორგანო (მათ შორის: 13 ავტოსატრანსპორტო საშუალებების გზისთვის ვარგისობაზე ტესტირების ცენტრი, 1 დაკანონებული გაზომვის საშუალების დამამოწმებელი პირი);
- 3 პროდუქტის სერტიფიკაციის ორგანო.

გეგმური მონიტორინგი გაიარა 33 აკრედიტებულმა შესაბამისობის შემფასებელმა პირმა. მათ შორის:

- 18 სხვადასხვა ტიპის საგამოცდო ლაბორატორია;
- 6 ინსპექტირების ორგანო (2 ავტოსატრანსპორტო საშუალებების გზისთვის ვარგისობაზე ტესტირების ცენტრი და 4 დაკანონებული გამზომი საშუალებების დამამოწმებელი პირი);
- 2 პროდუქტის სერტიფიკაციის ორგანო;
- 2 პერსონალის სერტიფიკაციის ორგანო
- 5 საკალიბრებელი ლაბორატორია.

არაგეგმური მონიტორინგი გაიარა 2 საგამოცდო ლაბორატორიამ. ხოლო, დამატებით სფეროში აკრედიტაცია მიენიჭა 10 საგამოცდო ლაბორატორიას. იმავდროულად, აკრედიტაციაზე უარი ეთქვა 1 ავტოსატრანსპორტო საშუალებების გზისთვის ვარგისობაზე ტესტირების ცენტრს. ასევე, გეგმური მონიტორინგის წარმატებით არ გავლის გამო, აკრედიტაციის მოწმობის მოქმედების ვადა შეუჩერდა 2 ინსპექტირების ორგანოს ავტოსატრანსპორტო საშუალებების გზისთვის ვარგისობაზე ტესტირების ცენტრს).

2014 წელს აკრედიტაციის ცენტრმა განახორციელა აკრედიტაციის სისტემაში ახალი საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების პრაქტიკაში დანერგვა „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ შესაბამისად. აკრედიტაციის ცენტრის გენერალური დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „აკრედიტაციის სისტემის წესები და პროცედურები“-ს (N7, 31.12.2012) თანახმად 2014 წლის 1 მაისამდე აკრედიტირებულ ლაბორატორიებს აკრედიტებულის სტატუსის შესანარჩუნებლად უნდა უზრუნველყოთ სსტ ისო/იეკ 17025:2010-ის სტანდარტთან შესაბამისობა, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ შეუჩერდებოდათ აკრედიტაცია. შედეგად, 15 ლაბორატორიას შეუჩერდა აკრედიტაცია.

იმავდროულად, საქართველოს აკრედიტაციის სისტემაში საერთაშორისო სტანდარტების რეალიზაციის მიზნით, ცენტრმა მოამზადა ახალი ისო/იეკ 17020:2012-ის ქართული ვერსია და მიაწოდა სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოს დასარეგისტრირებლად. პარალელურად შემუშავდა და განხორციელდა ცვლილებები აკრედიტაციის ცენტრის წესებსა და პროცედურებში. კერძოდ, 2014 წლის 10 იანვრიდან სხვადასხვა სფეროში მომუშავე ინსპექტირების ორგანოებს შეუძლიათ აკრედიტაციაზე განაცხადი გააკეთონ და აკრედიტაცია გაიარონ ინსპექტირების ორგანოების ახალ სსტ ისო/იეკ 17020:2012/2013 სტანდარტთან შესაბამისობაზე. აღნიშნული საერთაშორისო სტანდარტი 2015 წლიდან სრულად ჩაანაცვლებს ამჟამად მოქმედ სსტ ისო/იეკ 17020:2010 წლის სტანდარტს.

თავის მხრივ, აკრედიტაციის ცენტრი განაგრძობს ევროკავშირთან კომუნიკაციის 2014 წლის სტრატეგიის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებას. გეგმის შესაბამისად, 2014 წლის 5 მარტს ბათუმში ჩატარდა სემინარი თემაზე: „საქართველოს ხარისხის ინფრასტრუქტურის ევროპულთან დაახლოება“. ასევე, კრედიტაციის ცენტრის მიერ 2014 წლის ტრენინგების გეგმის შესაბამისად, აკრედიტაციის ცენტრში განხორციელდა ტრენინგი ახალი სტანდარტის ისო/იეკ 17065:2012-ის შესაბამისად, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს აკრედიტაციის ცენტრის შემფასებლებმა, აკრედიტირებული შესაბამისობის შეფასების ორგანოების წარმომადგენლებმა და მოწვეულმა ტექნიკურმა შემფასებლებმა.

აკრედიტაციის ცენტრის მოწვეული ტექნიკური შემფასებლების ბაზის გაფართოების და მათი შეფასებებში ჩართვის მიზნით, განხორციელდა ტრენინგები სხვადასხვა საერთაშორისო 17025, 15189, 17020 სტანდარტების შესაბამისად.

2014 წელს აკრედიტაციის ცენტრამ პირველად განახორციელა შეფასება საერთაშორისო სტანდარტის სსტ ისო 15189:2011 შესაბამისად. შპს „ავერსი“-ს კუთვნილმა სამედიცინო ლაბორატორიამ სამუშაო პროცესში დააკმაყოფილა სტანდარტითა და აკრედიტაციის პროცედურებით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა, რაც დადებითად აისახა შეფასების საბოლოო შედეგზე და გაიცა აკრედიტაციის მოწმობა.

ევროპის CIB (Comprehensive Institutional Building) პროგრამის ფარგლებში, აკრედიტაციის ცენტრის მიერ ჩატარდა აკრედიტაციის დღისადმი მიძღვნილი კონფერენცია (9 ივნისი, 2014). კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს საქართველში ევროკომისიის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენლებმა და სხვადასხვა დაინტერესებულმა მხარეებმა. კონფერენციაზე განხილული იქნა აკრედიტაციის სფეროში მიმდინარე რეფორმები, მომავალი მიზნები და პერსპექტივები. ერთ-ერთი აქცენტი იყო ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოვებული ქართული კანონმდებლობის გაცნობა.

გასული წელი მნიშვნელოვანი იყო სხვა ქვეყნის აკრედიტაციის ორგანოებთან ორმხრივი თანამშრომლობის გაღრმავების კუთხით. კერძოდ, 2014 წლის 31 ოქტომბერს თბილისში საქართველოსა და უნგრეთს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის ერთობლივი მთავრობათაშორისი კომისიის მეორე სხდომაზე საქართველოს აკრედიტაციის ეროვნულ ორგანო - აკრედიტაციის ცენტრსა და უნგრეთის აკრედიტაციის საბჭოს შორის გაფორმდა

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. 2014 წლის 18 სექტემბერს უკრაინის ეროვნული აკრედიტაციის სააგენტოსა და აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრს შორის გაფორმდა შეთანხმება აკრედიტაციის სფეროში თანამშრომლობის შესახებ.

აკრედიტაციის ცენტრის გენერალურმა დირექტორმა მონაწილეობა მიიღო ევროკავშირისა და საქართველოს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული, ვაჭრობის საკითხებზე ასოცირების კომიტეტის (Association Committee in Trade Configuration) პირველი შეხვედრაში, რომელიც გაიმართა 2014 წლის 2-4 დეკემბერს ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელში.

გადაიდგა ნაბიჯები, რაც უკავშირდება საქართველოს მომზადებას რათა მიაღწიოს ყველა პირობას ACAA ერთი ან მეტი სექტორის დაფარვისათვის, როგორც განსაზღვრულია ასოცირების ხელშეკრულებით და დაკავშირებული ყოვლისმომცველი ინსტიტუციონალური რეფორმის გეგმისა და საკანონმდებლო რეფორმების შესაბამისად.

კერძოდ, EA-ს ასოცირებული წევრობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, აკრედიტაციის ცენტრმა (ევროკავშირის CIB პროექტის ნაწილობრივი მხარდაჭერით) მონაწილეობა მიიღო EA-ს მიერ ჩატარებულ ყველა ტექნიკური კომიტეტის მუშაობაში, მათ შორის:

- სერტიფიკაციის კომიტეტის ორი შეხვედრა (მარტი და სექტემბერი);
- ინსპექტირების კომიტეტის ორი შეხვედრა (მარტი და ოქტომბერი);
- MAC (ოქტომბერი) და გენერალური ასამბლეა (მაისი და ნოემბერი).

2014 წლის 19 სექტემბერს აკრედიტაციის ცენტრმა გაადააგზავნა ოფიციალური განაცხადი თანდართული დოკუმენტაციის პაკეტით EA-ში (European Co-operation for accreditation) ორმხრივი აღიარების შეთანხმების (BLA) პროცედურების დასაწყებად.

აკრედიტაციის და შესაბამისობის შეფასების სფეროში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის უზრუნველსაყოფად, შეიქმნა აკრედიტაციის საბჭოს შექმნისა და საქმიანობის წესი და დამტკიცდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანებით № 1-1/403 2014 წლის 30 დეკემბერს.